ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2869675

ნომერი: AR1444667

თარიღი : 28.09.2016

გაცემის თარიღი : 03.10.2016

გაცნობის თარიღი : 03.10.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 23-23ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი შენგელია პ/ნ 62006024952
- გალი ნინოშვილის ქ. N 2

ორგანიზაცია:
- შპს "აეროსოფტი" კოდი: 404383421

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- წარმოდგენილი ფოტომონტაჟით დგინდება, რომ ფასადზე სარეკლამო აბრასთან ერთად ეწყობა შეფუთვა. საჭიროა "მოთხოვნის შინაარსის ტექსტში" მიეთითოს აღნიშნულის თაობაზე და ასევე დაკონკრეტდეს ფასადის შესაფუთი მასალა და ზომები.

- წარმოსადგენია შედარებით შორი და სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და მასზე დამუშავებული ფოტომონტაჟი დეტალურად გაბარიტული ზომების (მათ შორის შესაფუთი ნაწილის და სარეკლამო ასოების) და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით. ასევე გაითვალისწინეთ, რომ ფასადის შესაფუთი მასალის ფასადიდან გადმოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 0.30 მეტრს.

- საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის 11–ე მუხლის თანახმად , იმ შემთხვევაში როდესაც იჯარის ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარე არის კერძო სამართლის იურიდიული პირი და ხელშეკრულება დადებულია 1 წელზე მეტი ვადით, ამ ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.